საჯარო სამართლის იურიდიული პირი კოდიფიცირებული

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის

განკარგულება N 01

ქ.ბათუმი

10 სექტემბერი, 2019წ

ბსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების გამოცხადების შესახებ

„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2019-2020 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 08 ივლისის N06-01/70 დადგენილების, ბსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების 2019 წლის 25 ივნისის N1 ოქმის, „2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სწავლის საფასურის დავალიანების მქონე ზოგიერთი სტუდენტისათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 31 ივლისის N01-08/350 ბრძანებისა და ბსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის დებულების მე-6 მუხლის მე-9-13 პუნქტების საფუძველზე:

1. განისაზღვროს ბსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების თარიღი და კვოტა ფაკულტეტების მიხედვით:
   ა) ტექნოლოგიური ფაკულტეტი- 2019 წლის 15 ოქტომბერი, კვოტა 12 სტუდენტი;
   ბ) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი- 2019 წლის 16 ოქტომბერი, კვოტა 12 სტუდენტი;
   გ)ტურიზმის ფაკულტეტი- 2019 წლის 16 ოქტომბერი, კვოტა 5 სტუდენტი;
   დ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი- 2019 წლის 17 ოქტომბერი, კვოტა 23 სტუდენტი;
   ე)ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი- 2019 წლის 17 ოქტომბერი, კვოტა 16 სტუდენტი;
   ვ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი- 2019 წლის 18 ოქტომბერი, კვოტა 24 სტუდენტი;

ზ) იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი- 2019 წლის 18 ოქტომბერი, კვოტა 11 სტუდენტი;

2. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში (მისამართი ქ.ბათუმი, ნინოშვილის ქ. N35, ოთახი N13) 2019 წლის 01 ოქტომბრიდან-2019 წლის 11 ოქტომბრის ჩათვლით, უქმე დღეების გარდა, 11 საათიდან 17.30 საათამდე; (არჩევნების დღეს კენჭისყრა იწყება 10.00 საათზე და მთავრდება 17.00 საათზე).“
3. კანდიდატმა რეგისტრაციის გასავლელად კომისიას უნდა წარუდგინოს:
   ა)პირადობის დამადასტურებელი საბუთის ასლი;
   ბ)ცნობა შესაბამისი ფაკულტეტიდან- საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო წლისა და სემესტრის მითითებით;
   გ)განცხადება საარჩევნო კომისიის სახელზე (ივსება ადგილზე).
4. ბსუ-ს ფაკულტეტების დეკანებს ეთხოვოთ არჩევნებისთვის შესაბამისი ოთახების გამოყოფა და ამომრჩეველთა სიების წარდგენა ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში 2019 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით (აქტიური საარჩევნო უფლების მქონე სტუდენტთა სია).
5. განკარგულება ჩაბარდეთ ბსუ-ს ფაკულტეტების დეკანებსა და ბსუ-ს საარჩევნო კომისიას.
6. განკარგულება განთავსდეს ბსუ-ს ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებსა და ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე. (ველში განცხადებები/სტუდენტური ცხოვრება).
7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი მ/შ: დ.ქობულაძე დ.ქობულაძე

08 .10. 2019

ნინოშვილის №35. აუდ 54. ტელ: (595) 019343 E-mail: tvitmmartveloba@bsu.edu.ge